სასკოლო ფორმის ტანსაცმლის სპეციფიკაციები

1. ქსოვილის მახასიათებლები და ხარისხი

1.1 ძირითადი ქსოვილი (პიჯაკი, შარვალი, ქვედაკაბა):

- შემადგენლობა: 72% პოლიესტერი, 25% ვისკოზა/(რეიონი), 3% სპანდექი/ ელასტინი. *(დასაშვები ცდომილება: ±5%,* გარდა სპანდექსი/ელასტინისა, რომელსაც უნდა ჰქონდეს ±1%)
- წონა: 235 გ/მ² *(დასაშვები ცდომილება: ±5%)*
- ჰაერგამტარობა: ქსოვილი უნდა იყოს ჰაერგამტარი

1.2 სარჩული:

- **პიჯაკი:**
  - შემადგენლობა: 100% პოლიესტერი
  - წონა: 60 გ/მ² *(±10%)*
  - სიმკვრივე: არანაკლებ 205T
- **ქვედაკაბა:**
  - შემადგენლობა: 100% ბამბა
  - წონა: 140 გ/მ² (-5%)

1.3 ჯიბის პარკი:

- შემადგენლობა: 65% პოლიესტერი, 35% ბამბა;

  შემადგენლობაში დასაშვებია ±5% ცდომილება.

- წონა: 101 გ/მ² *(±5%)*

1.4 უსაფრთხოება:

ყველა გამოყენებული მასალა უნდა აკმაყოფილებდეს **OEKO-TEX® Standard 100**-ის მოთხოვნებს.

---

2. კონსტრუქცია და დიზაინის დეტალები

2.1 სასკოლო პიჯაკი:

- ფორმის უზრუნველყოფა:
    - კალთები დუბლირებული უნდა იყოს წებოვანი მასალით (interlining)
    - გულმკერდის არე – ორმაგი დუბლირება (chest piece)
- მხრები: მსუბუქი ბალიშებით
- ჯიბეები: ორკანტიანი (ჩარჩოსებური) გაჭრილი ჯიბე (welt pockets)
- ჯიბის ზომა: 11.5 – 14.5 სმ (ზომების შესაბამისად)

2.2 სასკოლო შარვალი (ბიჭის):

- წელის ხაზი:

    - XS, S, M ზომები- დამუშავებულია მიკერებული ქამრით, რომელშიც გაყრილია ელასტიური ლენტი (რეზინი) წინა ნახევარზე ნააწილობრივ გადმოსვლით;

    - L, XL ზომები –წელის ხაზი დამუშავებულია მიკერებული ქამრითა და საქამრეებით. ამასთან, დამატებით მოიცავს ღილზე რეგულირებად მოსაჭიმს;
- ჯიბეები: წინა ნახევარი დამუშავებულია 2 გვერდითი დახრილი ჯიბით;
- შესაკრავი:
    - L, XL – №3 ნეილონის ელვა შესაკრავი და ერთი ღილით ქამარზე;

    - XS, S, M –გაფორმებულია იმიტირებული შესაკრავით (fake fly) შარვლის წინა ცენტრალურ ნაწილზე.

2.3 სასკოლო შარვალი (გოგონა):

- **წელის ხაზი:** დამუშავებულია მიკერებული ქამრით, რომელშიც გაყრილია ელასტიური ლენტი წინა ნახევარზე ნაწილობრივ გადმოსვლით;

- **ჯიბეები:** წინა ნახევარი დამუშავებულია 2 გვერდითი დახრილი ჯიბით;
- **შესაკრავი:** ყველა ზომის შარვლის წინა ცენტრალური ნაწილი გაფორმებულია იმიტირებული შესაკრავით (fake fly)

2.4 სასკოლო ქვედაკაბა:

- **ფორმა**: ტრაპეციული (A-line)
- **კონსტრუქცია:** შედგება წინა და უკანა ნახევრებისგან

- **წელის ხაზი:**
    - წინა ნაწილის წელის ხაზი დამუშავებულია მიკერებული ქამრით, რომელშიც გაყრილია ელასტიური ლენტი, ხოლო მკერდის ხაზებს შორის ქამარი დამუშავებულია ლენტის გარეშე ;
    - უკანა ნაწილი – ელასტიური ლენტით
    - ქვედაკაბა დამუშავებულია გვერდის ხაზზე ორი ჯიბით
- **ჯიბეები:** წინა ნახევარი დამუშავებულია 2 გვერდითი დახრილი ჯიბით;
- **სარჩული:** 100% ბამბის ქსოვილი
- **სიგრძე: მოკლე** ქვედაკაბის სიგრძე უნდა ფარვადეს მუხლს, ხოლო გრძელი ქვედაკაბის შემთხვევაში სიგრძე იქნება კოჭამდე.

2.5 ფურნიტურა:

- **ღილები:**
    - მასალა: აკრილი ან ფენოპლასტი ან პოლიესტერი;
    - რაოდენობა: პიჯაკში 2 ძირითადი + 1 სათადარიგო; L, XL ზომის ბიჭის შარვალი: 3 ღილი (მათგან 1 შესაკრავი და 2 მოსაჭიმის)+ 1 სათადარიგო; გოგოს შარვალი და XS, S, M ბიჭის შარვალი თითო ძირიდი (იმიტირებული შესაკრავისთვის) + 1 სათადარიგო;
    - **ელვა-შესაკრავი:** YKK; მასალა: №3 ნეილონი

    შენიშვნა: სადაც მითითებულია ბრენდი ან/და მარკა, იგულისხმება მსგავსი ან ექვივალენტური ხარისხის პროდუქცია.

2.6 დამატებითი დეტალები:

- ტექნოლოგიური დანამატი: შარვლისა და ქვედაკაბის ბოლო განაჭერი ნაპირების შემოკეცვისათვის 4 სმ. (ქვედა კაბაზე შესაძლებელია 3 სმ-იანი დანამატიც).
- სიმბოლიკა:
    - სახელმწიფო გერბი – პიჯაკის მარცხენა მხარეს
    - ტიპი: ნაქარგი ან ნაქსოვი ან ნაბეჭდი ეტიკეტი (შემსყიდველთან შეთანხმებით)
    - დიამეტრი: 5.3 სმ

---

3. ხარისხის კონტროლი და ტესტირება

პარამეტრი	მოთხოვნა	სტანდარტი
პილინგისადმი/ხახუნისადმი მედეგობა.	მინიმუმ Grade 3 (1000 ბრნ/წთ)	ISO 12945 -2
ფერის მდგრადობა რეცხვისადმი	მინიმუმ Grade 4	ISO 105-C06
ფერის მდგრადობა სინათლისადმი	Grade 3-4	ISO 105-B02
შეკლება რეცხვისას (40°C)	მაქსიმუმ +2%, მინიმუმ -3%	ISO 6330

4. გარანტია

საგარანტიო ვადა: **12 თვე** ფაბრიკული წუნის შემთხვევაში (ტექნოლოგიური წუნი - ნაკერების დარღვევა, საფეიქრო წუნი - გახუნება) პროდუქტი ექვემდებარება ჩანაცვლებას.

---

5. მარკირება და შეფუთვა

- **მოვლის იარლიყი:** რეცხვისა და დაუთოების ინსტრუქცია ქართულ და ინგლისურ ენებზე (მანქანური რეცხვა 40°C, დაუთოება - 110°). არ ექვემდებარება მათეთრებლის გამოყენებას, ემბლემის დაუთოებას, ქიმიურ წმენდას.

- **იდენტიფიკაცია:** ზომის მარკირება ყელის ადგილმდებარეობაში - პიჯაკზე და წელის ხაზზე შარვალი და ქვედა კაბა. სპეციალური იარლიყი (ლეიბლი) "Name/Class".
- **ბარკოდი:** _____ (უნდა მიეთითოს სკანირების წესი საჭიროებისამებრ).
- **შეფუთვა:** სასკოლო ფორმის ტანსაცმლის ყველა კომპონენტი დაექვემდებაროს დაკეცვით შეფუთვას პოლიეთილენის პაკეტში და შემდგომ ყუთებში ჩაწყობით.

---

6. ფერი

- დასახელება: მუქი ლურჯი (Dark Navy)
- Pantone: 19-3922 TCX
- გოგოს პიჯაკი -კუბოკრული (დეტალები იხილეთ ზომების ცხრილის ფაილში)

7. ექსპერტიზის მოთხოვნები

- საზედაპირე ქსოვილის ბოჭკოვანი შემადგენლობა (%)
- წონა (GSM)
- საზედაპირე ქსოვილის ფერის მდგრადობა რეცხვისადმი (შეკლება), სინათლისადმი და ცვეთამედეგობა.
- სასარჩულე ქსოვილის შემადგენლობა და წონა.

---

8. ზომების საორიენტაციო ცხრილი წარმოდგენილია დამატებითი დანართის სახით